ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13261354**

თარიღი:**15/05/2026**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ახალციხეში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 15 კვ.მ ფართის მქონე მიწის ნაკვეთი ს.კ 62.09.55.365 განკარგოს 3 (სამი) წლის ვადით მოძრავი კონსტრუქციის განსათავსებლად ნაყინისა და ყავის რეალიზაციის მიზნით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით.

2. ქ. ახალციხეში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 15 კვ.მ ფართის მქონე მიწის ნაკვეთის (ს.კ 62.09.55.365) ყოველწლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 26 მარტის N 5001827726 აუდიტორული დასკვნის თანახმად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი